

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N58

2024 წელი; 12 ივლისი; 10:30 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ზურაბ აბაშიძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)

ნინო რუხაძე

ნინო ვარდოსანიძე

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

აკაკი ალადაშვილი

დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

1. ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
5. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
6. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
7. მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
8. გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი;
9. ქვარა ჩართოლანი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე;
10. დავით ჩანქელიანი - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი;
11. თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:

ზურაბ აბაშიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი


დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არჩილ გორდულაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
3. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
5. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ.№01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ.№01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
6. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
7. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით


- გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები;
 11. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები;
 12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
 13. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიდოში, ფაქმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.300.001, ფართობი - 7 321 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N267 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.047, ფართობი - 887 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიდმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.641, ფართობი - 4 976 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 16. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N156-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.008.034, ფართობი - 973 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების




- საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
17. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014, ფართობი - 1 231 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 18. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N73-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.070, ფართობი - 3342 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 19. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
 21. „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა №9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №95 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 22. „ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.28.026.005) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 23. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის I შესახვევი N8-ში არსებული 28.28 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.007.039.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
 24. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N3-ში არსებული 70.59 კვ.მ კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.013.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



25. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
26. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
27. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N3-ში, კორპუს N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.16.02.002.011.01.022) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
28. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
29. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 38.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.503) და 46.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
30. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N67-ში არსებული 96.63 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.074.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
31. „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N19-ის მიმდებარედ/ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N15-21-ის მიმდებარედ 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.007.061) პირდაპირი განკარგვის წესით ბესიკ მემანიშვილისთვის (პ/ნ: 01003015002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
32. „ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდ; N01.18.03.044.017) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინეროსთვის“ (ს/ნ: 405573062) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
33. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის N128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 3 კვ.მ საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესთვის“ (ს/ნ 204550057) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
34. „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი:



- 01.15.04.020.038) 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჰანი ჰაივისთვის“ (ს/ნ: 405672375) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
35. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №115-ის მიმდებარედ არსებული 184 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.10.002.014) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
36. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.476) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენს“ (ს/ნ: 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისგან, შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენის“ (ს/ნ: 405542024) უფლებამონაცვლე, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ (ს/ნ: 405626997) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
38. „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
39. „ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი



უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის №24.1068.1209 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
41. „შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუშვებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
42. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.007) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.


სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ზურაბ აბაშიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არჩილ გორდუღაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მ/წლის 27 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს პარლამენტის აპარატმა მომართა წერილობით (დოკუმენტის N4576/2-7/24) (საკრებულოში რეგისტრაციის N02-032417981-03) და წარმოადგინა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 27 ივნისის დადგენილება (N4289-XIVმს-Xმპ)



„საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის გიორგი ცაგარეიშვილის ადგილმონაცვლის არჩილ გორდულაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“, რითაც, საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის გიორგი ცაგარეიშვილის ადგილმონაცვლის - არჩილ გორდულაძის უფლებამოსილება.


ზურაბ აბაშიძის განმარტებით, წარმოდგენილი კორესპონდენცია, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით“ გათვალისწინებული შემდეგი პროცედურების დაცვით და განსაზღვრული პროცედურული დონისძიებების უზრუნველსაყოფად დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას:

➤ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 39-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

➤ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეს, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისა, არ აქვს უფლება, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი ან საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირის მიერ სამედიცინო ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ან საავიაციო სფეროს სახელმწიფო ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში განხორციელებული საქმიანობისა, აგრეთვე საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებულ თანამდებობაზე საქმიანობისა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორობის ან/და სამშვიდობო ოპერაციის მიზნების შესასრულებლად). საჯარო მოსამსახურეს არ აქვს უფლება, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვისა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში, ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.

➤ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურეები არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე (შემდგომ – მოხელე) და საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები.

➤ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე.



➤ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

➤ ამავე კოდექსის 42-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევს ან პირის დანიშვნაზე თანხმობას იძლევა საქართველოს პარლამენტი;

➤ ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ დაიკავა ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა;

➤ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს ამ კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს ან ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

➤ ამავე ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

➤ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ (შემდგომში - „რეგლამენტი“) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

➤ რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია არკვევს გაცდენის მიზეზს ან/და დაუყოვნებლივ ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შეუთავსებლობის საკითხზე დასკვნას უახლოეს სხდომაზე წარუდგენს საკრებულოს. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაშია



შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

გადაწყვეტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმსჯელა და ერთხმად დაადგინა, რომ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული ღონისძიებების/პროცედურის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილოს, საკრებულოს წევრის (კომისიის თავმჯდომარის) არჩილ გორდულაძის უფლებამოსილების - 2024 წლის 28 ივნისიდან, ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი, თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის გამო.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ასევე ერთხმად აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ შეიმუშავა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - არჩილ გორდულაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ განკარგულების პროექტი, რომელიც დაერთება დასკვნას.

მოისმინეს:

2. ლევან მიქავამ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის N980 განკარგულებით გამოყოფილი სახსრების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2024 წლის 28 ივნისის მიღებული წერილის გათვალისწინებით; კერძოდ, გადასახადების ნაწილში იზრდება ქონების გადასახადი - 20 000,0 ათასი ლარით და დამატებული ღირებულების გადასახადი - 10 000,0 ათასი ლარით, გრანტების ნაწილში იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 73,0 ათასი ლარით და სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 12 000,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 300,0 ათასი ლარით და სანქციები - 5 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 1 083,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 48 456,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 058 335,6 ათას ლარს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინადადებები დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ; ხოლო აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:



იზრდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა - 6 300,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება:
 - გლდანის რაიონში - 1 400,0 ათასი ლარით;
 - ნაძალადევის რაიონში - 700,0 ათასი ლარით;
 - დიდუბის რაიონში - 100,0 ათასი ლარით;
 - ვაკის რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
 - საბურთალოს რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
 - ისნის რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
 - სამგორის რაიონში - 1 250,0 ათასი ლარით;
 - კრწანისის რაიონში - 400,0 ათასი ლარით;
 - მთაწმინდის რაიონში - 1 000,0 ათასი ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 4 400,0 ათასი ლარით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა - 3 000,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები:
 - გლდანის რაიონში - 380,0 ათასი ლარით;
 - ნაძალადევის რაიონში - 1 300,0 ათასი ლარით;
 - დიდუბის რაიონში - 1 200,0 ათასი ლარით;
 - ჩუღურეთის რაიონში - 850,0 ათასი ლარით;
 - საბურთალოს რაიონში - 250,0 ათასი ლარით;
 - ისნის რაიონში - 1 000,0 ათასი ლარით;
 - სამგორის რაიონში - 1 250,0 ათასი ლარით;
 - კრწანისის რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
 - მთაწმინდის რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
- ავარიული სახლების ჩანაცვლება - 5 000,0 ათასი ლარით;
- გამწვანების ღონისძიებები - 2 000,0 ათასი ლარით;
- ბიზნესის სტიმულირება - 73,0 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა:
 - გლდანის რაიონში - 1 000,0 ათასი ლარით;
 - ნაძალადევის რაიონში - 700,0 ათასი ლარით;
 - დიდუბის რაიონში - 300,0 ათასი ლარით;
 - ჩუღურეთის რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
 - ვაკის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარით;
 - საბურთალოს რაიონში - 1 500,0 ათასი ლარით;
 - ისნის რაიონში - 900,0 ათასი ლარით;
 - სამგორის რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
 - კრწანისის რაიონში - 500,0 ათასი ლარით;
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები:
 - ნაძალადევის რაიონში - 200,0 ათასი ლარით;
 - ჩუღურეთის რაიონში - 40,0 ათასი ლარით;
 - საბურთალოს რაიონში - 50,0 ათასი ლარით;
 - სამგორის რაიონში - 300,0 ათასი ლარით;
- სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები:
 - გლდანის რაიონში - 220,0 ათასი ლარით;



- წამალადღევის რაიონში - 100,0 ათასი ლარით;
- დიდუბის რაიონში - 100,0 ათასი ლარით;
- ჩუღურეთის რაიონში - 110,0 ათასი ლარით;
- ვაკის რაიონში - 200,0 ათასი ლარით;
- საბურთალოს რაიონში - 200,0 ათასი ლარით;
- ისნის რაიონში - 100,0 ათასი ლარით;
- კრწანისის რაიონში - 100,0 ათასი ლარით;
- ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა - 100,0 ათასი ლარით;
- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები - 200,0 ათასი ლარით;
- სპორტული ღონისძიებები - 650,0 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 300,0 ათასი ლარით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 350,0 ათასი ლარით;
- სსიპ ქონების მართვის სააგენტო - 3 000,0 ათასი ლარით.

მომხსენებლისგვე მითითებით, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ჩამონათვალს ემატება შემდეგი ახალი ქვეპროგრამა: სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობა - 83,0 ათასი ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, ლევან მიქავამ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 858 300,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 787 117,7 ლარით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 058 335,6 ათასი ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 35 038,9 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 165 096,0 ათასი ლარით. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

3. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ (ს/ნ 206267494) შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის 2 წლით გახანგრძლივებაზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2021 წლის 9 სექტემბერს „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ გაფორმდა სასესხო შეთანხმება 9 600 000 (ცხრა მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობით 3 წლის ვადით, რის შემდგომაც აღნიშნული



პროექტის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს შორის 2021 წლის 22 ნოემბერს ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულება.

დავით ჩანქსელიანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალური სერვისების პროექტი ორკომპონენტია და მოიცავს: ნარჩენების შემგროვებელი სატვირთო მანქანების, სპეციალური ტექნიკისა და სატვირთო მანქანების შესყიდვას (ჯამში 65 ერთეული) და მარშრუტების მენეჯმენტის პროგრამულ უზრუნველყოფას.

პირველი კომპონენტის ფარგლებში, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი პროცედურები გლობალური პანდემიის გამო 2021-2022 წლების პერიოდში გარკვეული პერიოდით შეყოვნდა. გარდა ამისა, შესასყიდი სპეც-ტექნიკის რაოდენობიდან გამომდინარე, კონსულტანტების მხრიდან ტექნიკური მახასიათებლების შემუშავების პროცესი ხანგრძლივ პროცედურებთან და პერიოდთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, სატენდერო პროცედურების კვალიფიციურად და სრულყოფილად მომზადების პროცესი 2023 წლის დასაწყისამდე გაგრძელდა. სპეც-ტექნიკის შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადდა 2023 წლის 8 მაისს და ამავე წლის 8 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ (ორივე ლოტზე), კომპანია შპს „ჯი-თი ჯგუფთან“; კონტრაქტის საერთო ღირებულებამ კი შეადგინა 9 565 200 ევრო, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა 65 ერთეული სპეც-ტექნიკის მოწოდება. 2023 წლის 15 სექტემბრიდან მოყოლებული შპს „ჯი-თი ჯგუფის“ მიერ მოწოდებულ იქნა 28 ერთეული სპეც-ტექნიკა, ხოლო დარჩენილი რაოდენობის მოწოდება სრულად განხორციელდება მიმდინარე წლის განმავლობაში. დავით ჩანქსელიანის მითითებით, სესხის მეორე კომპონენტის, კერძოდ, მარშრუტების მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის დაწყება დამოკიდებულია სესხის პირველი კომპონენტის დასრულებაზე, შესაბამისად, პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადამაც გადაიწია.

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან სასესხო შეთანხმებით, სასესხო ხელმისაწვდომობის ვადა იწურება 2024 წლის 9 სექტემბერს, აღნიშნული გარემოების არსებობამ განაპირობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის მიმართვის აუცილებლობა, რათა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD), შეთანხმების შესაბამისად, გამოიჩინოს ინიციატივა და მოხდეს სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის 2 წლის ვადით გახანგრძლივება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებელმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტი საჭიროებს დამატებითი სამუშაოების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ გონივრულ ვადებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, მიზანშეწონილია სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის 2 წლის ვადით გახანგრძლივება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების



დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოხსენებული დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ რედაქციული ხასიათის ცვლილებას განიცდის წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, პაციენტის წონის მიუხედავად, მედიკამენტები „პერტუმაბი+ტრასტუმაბი“, მოსარგებლებს უფინანსდებოდათ მაქსიმუმ 14 ინფუზიის მოცულობით, ხოლო მედიკამენტი „ფესგო“ მოსარგებლებს უფინანსდებოდათ მაქსიმუმ 14 ინფუზიის მოცულობით (ხელშემწყობი დოზა). წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ზემოთ მითითებული ინფუზიების დოზა - მაქსიმუმ 14 ინფუზია, გაიზარდა 18-მდე, ვინაიდან, კიბოს ნაციონალური ყოვლისმომცველი ქსელი (NCCN) - PMC - NCBI -ის 2024 წლის გაიდლაინის მიხედვით, ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობისას პერჯეტა + ჰერცეპტინის (ფესგოს) სტანდარტი წარმოადგენს 21 დღიანი ციკლებით მკურნალობას 1 წლის განმავლობაში, რაც შეადგენს 18 ციკლს/ინფუზიას.

როგორც თამარ ბერუაშვილმა განმარტა, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილების მიზანია, ქვეპროგრამის მოსარგებლებს უახლესი გაიდლაინებით დადგენილი ოდენობების გათვალისწინებით მიეწოდოთ მედიკამენტები „პერტუმაბი+ტრასტუმაბი“ და „ფესგო“, მაქსიმუმ 18 ინფუზიის მოცულობით (ხელშემწყობი დოზა), რათა სრულყოფილად ჩაიტარონ მკურნალობის კურსი.

მომხსენების მიწერულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად მისი მიღების შემთხვევაში განისაზღვრება 2024 წლის 15 აგვისტო.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

ა) მიეცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით



(საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებულ პირთა სიაში დამატებულ პირებს:

ა.ა) მარინე არჯევანიშვილს - 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარი;

ა.ბ) ზაქარია ლაგაზიძეს - 160 000 (ას სამოცი ათასი) აშშ დოლარი;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N1-ით (თანხის სახით ვალდებულების გასტუმრების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებულ პირს - შპს „ინტერკლიმატს“ ვალდებულების შესრულებისათვის გადასაცემ თანხად 28612 (ოცდარვა ათას ექვსას თორმეტი) აშშ დოლარის ნაცვლად, განესაზღვროს 85235 (ოთხმოცდახუთი ათას ორას ოცდათხუთმეტი) ლარი;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს ერეკლე მაღლაკელიძე;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N3-ით (მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულების შესრულებისთვის - მსურველ პირთა სია მისამართზე ქ. თბილისი საირმეს ქუჩა N37) განსაზღვრულ პირებს დაემატოს ნატალია სანაია.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული თანხების ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37; ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N23.2153.2405, 27.12.2023) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N641, 28.12.2023).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კომისიას თბილისის პროკურატურის მიერ წარედგინა განახლებული/დამატებითი ინფორმაცია შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში გარკვეულ დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, მარინე არჯევანიშვილთან და ზაქარია ლაგაზიძესთან მიმართებით, დღეის მდგომარეობით, შესწავლილია საქმე და მათ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ზიანის ანაზღაურების შემაფერხებელი გარემოება; დაზუსტდა შპს „ინტერკლიმატის“ მიმართ არსებული ვალდებულების ოდენობა; დაზარალებული პირის სტატუსი მიენიჭა ასევე ნატალია სანაიას და ერეკლე მაღლაკელიძეს.

მომხსენებლისვე განმარტებით, ზემოაღნიშნული დაზარალებული პირების მიმართ დგინდება შემდეგი:



- მარინე არჯევანიშვილიმა 2016 წლის 12 ივნისს, შპს „საინვესტიციო დეველოპერული კომპანია ათორისგან“ შეიძინა 158.7 კვ.მ კომერციული ფართი N3, მდებარე ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N35-ში, რომლისთვისაც გადაიხადა 100 000 აშშ დოლარი. მარინე არჯევანიშვილი, თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაზარალებულად ცნობილია 100 000 აშშ დოლარის ნაწილში. დაზარალებული პირის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციით დგინდება, რომ: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში არ გააჩნია იპოთეკა და ყადაღა; შპს „ათორთან“ ან მის წარმომადგენელთან არ აქვს სასამართლო დავა; შპს „ათორის“ ხელმძღვანელის მიმართ, მის სასარგებლოდ წარმოშობილი მოთხოვნის უფლებები არ აქვს გასხვისებული. ამასთანავე, დაზარალებული პირი აცხადებს/ადასტურებს, რომ თანხის მიღების შემთხვევაში არ აქვს/და არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორი დეველოპმენტისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;
- ზაქარია ლაგაზიძესა და და ბესიკ თხელიძეს შორის 2016 წლის 18 მარტს გაფორმდა სანოტარო აქტი, რომლის საფუძველზეც, ზაქარია ლაგაზიძემ ბესიკ თხელიძეს გადასცა თანხა 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარი, აღნიშნული თანხის სანაცვლოდ ბესიკ თხელიძემ იპოთეკის საგნად დატვირთა მისი კუთვნილი ბინა მდებარე - ქ. თბილისი, ვახტანგ ლევას ქუჩა N1, ბინა N29, თუმცა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, უნდა გადაეცა ქ. თბილისში, მუხამის ქ. N4-ში მდებარე 140 კვ.მ ბინა. ზაქარია ლაგაზიძე დაზარალებულად ცნობილია 160 000 აშშ დოლარის ნაწილში. დაზარალებული პირის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციით დგინდება, რომ: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში არ გააჩნია იპოთეკა და ყადაღა; შპს „ათორთან“ ან მის წარმომადგენელთან არ აქვს სასამართლო დავა; შპს „ათორის“ ხელმძღვანელის მიმართ, მის სასარგებლოდ წარმოშობილი მოთხოვნის უფლებები არ აქვს გასხვისებული. ამასთანავე, დაზარალებული პირი აცხადებს/ადასტურებს, რომ თანხის მიღების შემთხვევაში არ აქვს/და არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორი დეველოპმენტისა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;
- თბილისის პროკურატურის 2024 წლის 10 ივნისის წერილის მიხედვით, შპს „ინტერკლიმატი“ დაზარალებულად ცნობილია 85 235 ლარის ნაწილში.
- ნატალია სანაია 2019 წლის 26 დეკემბერს შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორთან“ გააფორმა უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, საირმეს ქუჩა N37-ში, მე-5 სართულზე შეიძინა 78.00 კვ.მ ბინა 37 000 აშშ დოლარად. ნატალია სანაია დაზარალებულად ცნობილია 37 000 აშშ დოლარის ნაწილში. დაზარალებული პირი ითხოვს მის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კერძოდ, უძრავი ქონების მიღებას საირმეს ქ. N37-ში.
- ერეკლე მაღლაკელიძესა და შპს „საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორს“ შორის 2013 წელს დაიდო აღნაგობის ძირითადი ხელშეკრულება და უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით, ერეკლე მაღლაკელიძემ (როგორც უძრავი ქონების მესაკუთრემ) გადასცა უძრავი ქონება ბესიკ თხელიძეს, რის სანაცვლოდაც უნდა მიეღო რამდენიმე ფართი, მათ შორის ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N35-ში, მე-4 სართულზე მდებარე, 100 კვ.მ ფართობის N11 ბინა. ერეკლე მაღლაკელიძე დაზარალებულად იქნა ცნობილი. დაზარალებული პირის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ გათავისუფლდება ზემოხსენებული უძრავი ქონება (მდებარე - ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N35, სართული 4, ბინა N11) დღეის მდგომარეობით არსებული ყველა ვალდებულებისგან და დაბრუნდება მის



საკუთრებაში, არ აქვს/და არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არავის მიმართ.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით ზემოთ მითითებული ღონისძიებების გატარება.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-3 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული დადგენილება სხვა სამართლებრივ საკითხებთან ერთად განსაზღვრავს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელმა წერილობითი განცხადებით უნდა წარუდგინოს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

მომხსენებლისვე მითითებით, დღეის მდგომარეობით, ნორმატიული აქტის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტები დაუმტკიცდა მხოლოდ 4 (ოთხი) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რაც განპირობებულ იქნა იმ მიზეზით, რომ სკოლებმა დროულად ვერ შეძლეს სრული მობილიზება, ვინაიდან საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, როგორც შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების შეძენას ან იჯარით აღებას, ასევე ავტობუსების მარის ვიზუალური მდგომარეობის აღნიშნული დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც გულისხმობს, რომ ავტობუსის ვიზუალი აშკარად უნდა იძლეოდეს



ინფორმაციას მათი მეშვეობით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე.

როგორც ვასილ აბულაძემ აღნიშნა, ზემოხსენებული გარემოებების ფონზე, მოსწავლეების სპეციალურ რეგულარულ გადაყვანაზე მოთხოვნა მზარდია, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2024 წლის 25 ივნისის N 24.1106.1240 განკარგულებით მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის მარშრუტების შეთანხმების პროცედურის გახანგრძლივება 1 (ერთი) წლით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები, მისი შეთანხმების წესი და პირობები მოქმედი იქნება 2025 წლის 1 ივლისამდე.

მოსხენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მამიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, რედაქციული ხასიათის ცვლილებას განიცდის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მამიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის“ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, ნებართვის მფლობელს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას სანებართვო პირობა, რაც გულისხმობს ხაზზე გაშვებისას თითოეული ავტობუსის როგორც სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის, ასევე კონდიციონერის (გათბობის/გაგრილების) სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას მგზავრთა კომფორტული გადაყვანის მიზნით.



მომხსენებლისვე მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი არ დაიცავს პროექტით შემოთავაზებულ სანებართვო პირობას, ამოქმედდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. აქვე ვასილ აბულაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ კოდექსის იმავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი (უფლებამოსილი სამსახური, ფიზიკური ან იურიდიული პირი) უფლებამოსილია შემოწმება კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუზღუდავად განახორციელოს“.

მომხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2021 წლის 25 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელ იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული დამატებითი შეთანხმებებით, მხარეებს მიენიჭათ უფლებამოსილება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე, ნებისმიერ დროს გადახედონ (გაზარდონ ან შეამცირონ) დადგენილ კილომეტრზე ფასის განაკვეთი, იმ შემთხვევაში, თუ - დადგება შეთანხმებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, მათ შორის თუ კონკრეტული წლისთვის საქართველოში დაფიქსირებული ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებელი აღემატება ამ წლისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ წლიურ ინფლაციის მაჩვენებელს.

მომხსენებლისვე მითითებით, ზემოაღნიშნული შეთანხმებების (როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი) თანახმად, ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე შეთანხმებებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დაკისრებას.



ვასილ აბულაძის განმარტებით, სანებართვო პირობების დარღვევის გამო, სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ნებართვების მფლობელების მიმართ შედგენილ იქნა საჯარო ქვეითები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და ზემოხსენებული შეთანხმებების საფუძველზე დაკისრებულ იქნა პირგასამტეხლოები, რომელთაგან ნაწილი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც მომხსენებელმა დასძინა, სააგენტოს წერილობით მიმართეს შესაბამისი ნებართვების მფლობელმა იურიდიულმა პირებმა და წარმოდგინეს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნები მომსახურების ძირითადი საფასურის ხარჯების ელემენტების იდენტიფიკაციის და ინფლაციის მიზნობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლის სხვაობით ინდექსაციის შესახებ, რომელთა თანახმადაც, დაინტერესებულ პირებს ეკუთვნით მომსახურების ძირითადი საფასურის ინფლაციით ინდექსაცია. შესაბამისად, ნებართვების მფლობელმა იურიდიულმა პირებმა გამოხატეს მზაობა, მათ მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოების ანულისების სანაცვლოდ, უარი განაცხადონ მომსახურების ძირითადი საფასურის ინფლაციით ინდექსაციის შედეგად 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ზრდით მისაღებ კუთვნილ თანხაზე, ასევე აღნიშნულის თაობაზე შეთანხმების დადებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, გამოიხმონ საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოდან, ხოლო დაკისრებული ჯარიმები გადაიხადონ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებული შეთანხმებების ხელმოწერის შედეგად, ნებართვების მფლობელები არ გადაიხდიან სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაკისრებულ პირგასამტეხლოებს (ჯამში 1 360 550 ლარი), რის სანაცვლოდაც უარს იტყვიან მომსახურების ძირითადი საფასურის ინფლაციით ინდექსაციის შედეგად 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ზრდით მისაღებ კუთვნილ თანხაზე (ჯამში 4 431 093,71 ლარის ოდენობით).


მომხსენებლის მიწერულს, ვასილ აბულაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარო



ქვეთრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ ახალი წესის დამტკიცებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილების პროექტით დასამტკიცებელი ახალი წესი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“) დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვეთრის, როგორც მატერიალური სახით (ბურთულიანი კალმით) ასევე, ელექტრონული საჯარიმო ქვეთრით შევსების ღონისძიებებს.

მომხსენებლის მითითებით, წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს „ელექტრონული საჯარიმო ქვეთრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებასა და მის შინაარსს“, რომლის მიხედვითაც, ელექტრონული საჯარიმო ქვეთარი იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) მობილური ელექტრონული მოწყობილობის (პად-ის) მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ზემოხსენებულ სისტემაში საჯარიმო ქვეთრის ელექტრონული ფორმით გამოწერა, დგება საჯარიმო ქვეთარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მატერიალური ფორმით, რომელიც დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში, აისახება ზემოაღნიშნულ სისტემაში. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ელექტრონულ საჯარიმო ქვეთარსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ საჯარიმო ქვეთარს.


გიორგი კობიაშვილის განმარტებით, ელექტრონული საჯარიმო ქვეთრით განსაზღვრული ჯარიმის კანონით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტო საქმეს გადაუგზავნის სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ასევე ელექტრონული საჯარიმო ქვეთრის კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარიმო ქვეთრის აღსრულების მოქმედება შეჩერდება.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) გამართული ფუნქციონირების, ასევე მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვის და ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაციის (პერსონალური მონაცემები) დაცვის საკითხებზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ ელექტრონული საჯარიმო ქვეთრის შედგენისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

მომხსენებლის მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიღება უზრუნველყოფს სააგენტოს საქმიანობის მოქნილ და ეფექტურ განხორციელებას, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და მიღების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა მთელი რიგი სამართლებრივი, რედაქციული, სტილისტური და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციების გათვალისწინების მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.



გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ოთარ ჩიტიმეშვილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილებების და დამატებების განხორციელებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ვინაიდან, შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალში (ვარკეთილის მასივი) არსებული მიწის ნაკვეთების განვითარება ხდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი განსაკუთრებული პირობების შესაბამისად, საჭირო გახდა საგამონაკლისო წესის გავრცელება, რის შესაბამისადაც, აღნიშნული მიწის ნაკვეთები გათავისუფლებული იქნება ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებისგან.

მომხსენებლისვე მითითებით, პრაქტიკაში გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მაკომპენსირებელი ღონისძიებების დაწესება, საცხოვრებელ ზონებში იმ ობიექტებისთვის, სადაც მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განსათავსებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების ამოქმედებამდე გადამეტებულია კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებელი და დაყენებულია მოთხოვნა მრავალბინიან საცხოვრებელ შენობა-ნაგებობად ცვლილებასთან დაკავშირებით.

ოთარ ჩიტიმეშვილი განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამიჯნულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის დაუშვებლობის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მითითებული წესიდან გამონაკლისის საჭიროება გამოიწვია საზიარო უფლების გაუქმების (ნატურით გაყოფის) თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკის არსებობამ, რის შესაბამისადაც ცვლილება შედის განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლში, თუმცა გარკვეული პირობების დაცვით.

მომხსენებლის განმარტებით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდა 39^ა მუხლის მე-5 პუნქტიც, რაც განპირობებულ იქნა იმ გარემოებით, რომ საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ფუნქციური ზონის რეგლამენტის შესაბამისად, შეზღუდულია სართულების რაოდენობა 5 სართულამდე. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისას კი სიმაღლის რეგულაციებისგან განთავისუფლებასთან ერთად უნდა მოხდეს სართულიანობის რეგლამენტისგან განთავისუფლებაც, დაწესებული ღონისძიების ეფექტურად განსახორციელებლად.

მომხსენებლისვე მითითებით, ცვლილებას განიცდის ასევე განაშენიანების რეგულირების წესების 16^ა მუხლის მე-6 პუნქტიც, რომლის თანახმადაც, ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებული ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტის და ურბანული



განვითარების სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას მიიღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო, ხოლო ფასის გადახდასთან დაკავშირებით კი - ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მათი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების ორი პროექტის გაერთიანებისა და მათი ერთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის სახით ჩამოყალიბების, ასევე პროექტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ოთარ ჩიტიმემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ცვლილებები შედის ზემოხსენებული დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილში“; კერძოდ, 72-ე მუხლს მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება „პ“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, დადგენილების დანართი 1.11-ით გათვალისწინებულ, ქალაქგეგმარებითი არელების რუკით განსაზღვრულ არელებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში, დასაშვებია სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება, სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიზნით.

მომხსენებლისგე მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, 72-ე მუხლს „ა.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ ასევე ემატება „ა.დ.1“ ქვეპუნქტი, რომელიც ვარკეთილის მასივში, არეალის სამშენებლო განვითარებისას, ხელშემწყობი ღონისძიების სახით ითვალისწინებს განაშენიანების რეგულირების წესებით ავტოსადგომების რაოდენობისთვის დადგენილი



რეგულირებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

როგორც ოთარ ჩიტიმემ აღნიშნა, ზემოხსენებული დადგენილების დანართი 1.11-ით, ვარკეთილის მასივში განსაზღვრულ „B1“ არეალზე სამშენებლო განვითარება ხდება განსაკუთრებული პირობების დაცვით და ვინაიდან, აღნიშნული არეალის განვითარების მთავარ მიზანს წარმოადგენს ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლება, ვარკეთილის მასივის ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად მიმდინარეობს ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლება, რომელიც ხელშემწყობი ღონისძიებების სახით ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებას, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (მათ შორის, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცებას.

მომხსენებლის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ცვლილების მიზანია, აღნიშნულ არეალში მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისას თანაბარი პირობების შექმნა, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ისე კერძო პირთა/ინვესტორთა ინიციატივების არსებობისას, ასევე პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტების მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მათი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მათი ამოქმედების დღე.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების ორი პროექტის გაერთიანებისა და მათი ერთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის სახით ჩამოყალიბების, ასევე სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ოთარ ჩიტიმემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების



პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის, რომელიც ადგენს სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადებსა და საფასურის განაკვეთებს, 4¹; 4²; 4³; 4⁴ პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით - ემატება 45 - დღიანი და 60 - დღიანი დაჩქარებული მომსახურების განხილვის ვადები და განისაზღვრება შემდეგი სახით:

4¹ პუნქტში ორი ქვეპუნქტის დამატებით - განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების განხილვისათვის:

ა) 1 ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:

- 45 დღეში – 2000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში – 1000 ლარის განსაზღვრის საკითხს;

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:

- 45 დღეში – 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში – 1500 ლარის განსაზღვრის საკითხს;

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:

- 45 დღეში - 6000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში - 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;

4². განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის განსახილველად:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:

- 45 დღეში – 2000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში – 1000 ლარის განსაზღვრის საკითხს.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:

- 45 დღეში – 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში – 1500 ლარის განსაზღვრის საკითხს;

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:

- 45 დღეში – 6000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში – 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;

4³. განაშენიანების რეგულირების გეგმის განსახილველად:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:


- 45 დღეში – 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში – 1500 ლარის განსაზღვრის საკითხს;

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:

- 45 დღეში – 6000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
- 60 დღეში – 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:

- 45 დღეში – 12000 ლარის განსაზღვრის საკითხს;



- 60 დღეში – 6000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
44. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტის განსახილველად:
- ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:
 - 45 დღეში – 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
 - 60 დღეში – 1500 ლარის განსაზღვრის საკითხს;
 - ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:
 - 45 დღეში – 6000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
 - 60 დღეში – 3000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
 - გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:
 - 45 დღეში – 12000 ლარის განსაზღვრის საკითხს;
 - 60 დღეში – 6000 ლარის განსაზღვრის საკითხს.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში დადგენილების მოქმედი რედაქციის საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნების თარიღის სწორად მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ოთარ ჩიტიმემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ფატმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.300.001, ფართობი - 7 321 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N267 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებულმა პირმა მის საკუთრებაში არსებულ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის



განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული განცხადება მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის N23.815.908 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N267 განკარგულებებით, რომელთა საფუძველზეც, დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისთვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი თანხა - 793 036,57 (შვიდას ოთხმოცდაცამეტი ათას ოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი მესედი) ლარი დადგენილ ვადაში გადარიცხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე, თუმცა აღარ განახორციელა ზემომითითებული N23.815.908 განკარგულებით გათვალისწინებული კ-2 კოეფიციენტის (კ-2=2.5) სრულად ათვისება, ვინაიდან დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე ვერ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა შენობა-ნაგებობის (N2 ბლოკი) მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ოთარ ჩიტიმემ განმარტა, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის N23.815.908 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის ცვლილება კ-2=2.5-დან კ-2=2.4-მდე და შესაბამისად, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, გადახდილი თანხის ნაწილობრივ დაბრუნება.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, შემდეგი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N267 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.1-დან კ-2=2.4-მდე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით ჩარიცხული თანხის - 793 036,57 (შვიდას ოთხმოცდაცამეტი ათას ოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი მესედი) ნაწილი - 198 259,14 (ას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას ორმოცდაცხრამეტი ლარი და თოთხმეტი მესედი) ლარი დაუბრუნდება დაინტერესებულ პირს მითითებულ ანგარიშზე.

აზრი გამოთქვას:



ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის, ასევე პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღისა და შესაბამისი ნომრის სწორად მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ოთარ ჩიტიმემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 887 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.7-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 3 სართულის დამატებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიმის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მარტის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის (კ-2=2.5).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 25 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 833 034 (რვაას ოცდაცამეტი ათას ოცდათოთხმეტი) ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 7 მარტის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 399 856.32



(სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათას რვაას ორმოცდათექვსმეტი და ოცდათორმეტი მესედი) ლარს.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 2.5-დან 3.7-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის 'დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 399 856.32 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათას რვაას ორმოცდათექვსმეტი და ოცდათორმეტი მესედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვებს:


ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის, ასევე პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღისა და შესაბამისი ნომრის სწორად მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:




15. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიდმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 4 976 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.7-მდე, რაც გულისხმობს 4 (ოთხი) სართულის დამატებას, 14 (თოთხმეტი) სართულიდან 18 (თვრამეტე) სართულამდე. ამასთანავე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); ასევე საპროექტო საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N377 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 3 ნოემბრის ბრძანებით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

ოთარ ჩიტიძემ აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 5 528 182 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 14 მაისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 895 376.69 (ერთი მილიონ რვაას ოთხმოცდათხუთმეტი ათას სამას სამოცდათექვსმეტი და სამოცდაცხრა მესამედი) ლარს.

ოთარ ჩიტიძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N521 განკარგულებით გაცემულია თანხმობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით (კ-2=4.7), თუმცა დაინტერესებული პირის განმარტებით, მშენებლობის ნებართვის აღებამდე ვერ იქნა წარდგენილი აღნიშნული განკარგულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა საპროექტო შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.



მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 3.5-დან 4.7-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1 895 376.69 (ერთი მილიონ რვაას ოთხმოცდათხუთმეტი ათას სამას სამოცდათექვსმეტი და სამოცდაცხრა მესამედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს ზემოაღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის, ასევე პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღისა და შესაბამისი ნომრის სწორად მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



16. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N156-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 973 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=6.1-დან კ-2=6.3-მდე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (13 სართული) საბოლოო იერსახის მოწესრიგების მიზნით, რაც არ ცვლის არსებული შენობის სართულიანობას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ივლისის N1-1608 ბრძანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გადამეტებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2=6.1; შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

ოთარ ჩიტიძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 4 ივნისის მდგომარეობით, შეადგენს 3 278 251 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 27 ივნისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 6.1-დან 6.3-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 107 483.64 (ას შვიდი ათას ოთხას ოთხმოცდასამი და სამოცდაოთხი მესხედი) ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 6.1-დან 6.3-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;



- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 107 483.64 (ას შვიდი ათას ოთხას ოთხმოცდასამი და სამოცდაოთხი მესხედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებულა ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის რიგრიგობასა და უსაფრთხოებაზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:


განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

17. ოთარ ჩიტაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 231 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული




პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.4-მდე, რაც გულისხმობს 2 სართულის დამატებას და 10 მიწისზედა სართულის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიმის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსებისა და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 22 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 029 144 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 31 მაისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 264 637.03 (ორას სამოცდაოთხი ათას ექვსას ოცდაჩვიდმეტი და სამი მესხედი) ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 3.5-დან 4.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 264 637.03 (ორას სამოცდაოთხი ათას ექვსას ოცდაჩვიდმეტი და სამი მესხედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.



- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე უნდა წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვებს:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის, ასევე პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღისა და შესაბამისი ნომრის სწორად მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

18. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N73-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 3342 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=6.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 7 სართულის დამატებასა და 28 მიწისზედა სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.



მომხსენებლის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); აგრეთვე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 თებერვლის ბრძანებით (ცვლილება შევიდა 2024 წლის 2 მაისის ბრძანებით) საპროექტო მიწის ნაკვეთზე დადგენილია მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=4.6).

ოთარ ჩიტიძემ აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 20 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 6 491 879 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 8 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 6.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 975 789.26 (ერთი მილიონ ცხრაას სამოცდათხუთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრა და ოცდაექვსი მესხედი) ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 4.6-დან 6.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1 975 789.26 (ერთი მილიონ ცხრაას სამოცდათხუთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრა და ოცდაექვსი მესხედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:



ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის, ასევე პრემიულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღისა და შესაბამისი ნომრის სწორად მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ოთარ ჩიტაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიდომი, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 740 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.0-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 1 (ერთი) სართულის დამატებასა და შენობის სართულიანობას გაზრდას ხუთი სართულის ჩათვლით; ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტაძის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ძირითადად ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 აპრილის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) პარამეტრებით, ასევე იმავე სამსახურის 2020 წლის 21 ივლისის ბრძანებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=1.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.




მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 18 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 362 785 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 5 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 454 261.67 (ოთხას ორმოცდაათოთხმეტი ათას ორას სამოცდაერთი და სამოცდაშვიდი მესხედი) ლარს.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის N467 განკარგულებით გაცემულია თანხმობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით (კ-2=2.0), თუმცა დაინტერესებული პირის მიერ ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული თანხა - 323 860 (სამას ოცდასამი ათას რვაას სამოცი) ლარი გადახდილ იქნა ამავე განკარგულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია, მის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განსაზღვრული შესაბამისი თანხის ანგარიშში და თანხმობას აცხადებს, დამატებით გადაიხადოს დარჩენილი საფასური, რაც ამ შემთხვევაში შეადგენს - 130 401.67 (ასოცდაათი ათას ოთხას ერთი და სამოცდაშვიდი მესხედი) ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიმეშ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება 1.5-დან 2.0-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასი განისაზღვროს - 454 261.67 (ოთხას ორმოცდაათოთხმეტი ათას ორას სამოცდაერთი და სამოცდაშვიდი მესხედი) ლარის ოდენობით.
- დაინტერესებული პირის მიერ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის N467 განკარგულების შესაბამისად, ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადახდილი თანხა - 323 860 (სამას ოცდასამი ათას რვაას სამოცი) ლარის ოდენობით, ჩაითვლება გადახდილად. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით განსაზღვრული ფასიდან დარჩენილი ფასის -



130 401.67 (ასოცდაათი ათას ოთხას ერთი და სამოცდაშვიდი მესხედი) ლარის გადარიცხვას განახორციელებს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

- დაინტერესებულმა პირი მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგენს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა. ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტში დაინტერესებული პირის მიერ უკვე გადახდილი ფასისა და დარჩენილი ფასის შესახებ მითითების, პროექტის ტექნიკურად გამართვის, ასევე პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღისა და შესაბამისი ნომრის სწორად მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:


განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილების მე-4 მუხლს, მე-3 პუნქტის შემდგომ, ემატება მე-4 პუნქტი, რომლის შემოთავაზებული რედაქციის თანახმად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დამატებული ღირებულების გათვალისწინებით დადგინდება, ხოლო ნატურით საანგარიშსწორებო თანხის გაანგარიშება და გადახდა მოხდება სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით ან ბაზრის



კვლევის შედეგად შემოთავაზებული ერთი კვ. მ. ფართობის ღირებულების (თუ იგი აჭარბებს ამავე დასკვნით დადგენილ თანხას) მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

მომხსენებლის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების ანგარიშსწორება ხდება შერეული ფორმით (ფულით და ნატურით), ასაშენებელი ფართებით ანგარიშსწორების დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით განხორციელება აფერხებს პროექტში მონაწილეობის მსურველებს, წარმოადგინონ კონკურენტული წინადადებები. შესაბამისად, როგორც მომხსენებელმა დასძინა, ნატურით ანგარიშსწორებისას, გადახდის ვალდებულების დამატებითი ღირებულების გარეშე გაანგარიშება ქმნის შესაძლებლობას, მიმდინარე პროექტებით დაინტერესდეს არაერთი პოტენციური მიმწოდებელი, რაც უზრუნველყოფს კონკურენციის, როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გაცხადებული ერთ-ერთი პრინციპის, ხარისხის გაუმჯობესებას.

ქვარა ჩართოლანის მითითებით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება მე-16 მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის თანახმადაც, იპოთეკარს შეეძლება დროულად მოახდინოს რეაგირება მის წინაშე დარღვეულ სასესხო დავალიანებაზე სააღსრულებო ფურცლის გამოწერისა და მიღების თვალსაზრისით, რამდენადაც, ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების დროულად დაუსრულებლობის შემთხვევაში იგი შეინარჩუნებს წესით გარანტირებულ მოთხოვნის გამოსყიდვის საშუალებას.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, დაარეგულიროს და სამართლებრივად მოაწესრიგოს ავარიული სახლის ჩანაცვლებისას, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის დასრულებიდან 6 თვეში ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიუღებლობის შემთხვევაში, ასევე დაინტერესებული პირისათვის ახალი ფართის გადაცემის ვადის ან პირობების დარღვევის შემთხვევაში არსებული პერიოდის განმავლობაში იპოთეკარის უფლებები, რათა არ გაჭიანურდეს სააღსრულებო მოქმედებები და ზიანი არ მიაღწეს მისი მოთხოვნის რეალიზების უფლებას.

მომხსენებლის მიწურულს, ქვარა ჩართოლანმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის (ნატურით ანგარიშსწორებისას უძრავი ქონების დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე გაანგარიშების საკითხი) მოქმედება გავრცელდება 2024 წლის 3 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

21. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეერთე



საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N95 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის 87-82 დადგენილების დანართით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანის“ შორის 2021 წლის 4 ნოემბერს დადებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის N24.396.454 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N95 განკარგულებებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში, მე-7 სართულზე მდებარე, ბინა N32-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების და ამავე მისამართზე მდებარე ბინა N42-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით შესაბამისი თანხის გადახდის პირობით მოქალაქე ირინე ოთარაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მომხსენებლის მითითებით, 2024 წლის 13 მაისს და 30 მაისს კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი განცხადებებით, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ მოქალაქე ირინე ოთარაშვილმა დაკარგა ინტერესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ძალადაკარგულად გამოაცხადა 2024 წლის 13 მარტის N24.396.454 განკარგულება და შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N95 განკარგულებაც.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით (31 800 ლარი) პრივატიზებაზე, მანანა ქავთარაძის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე (დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული) არსებული 1 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

მომხსენებლის მითითებით, 2023 წლის 28 სექტემბერს, ფ/პ მანანა ქავთარაძის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ წერილობითი განცხადებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობა.


როგორც მარიამ კვერნაძემ განმარტა, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით“ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1-ლი ოქტომბრის N64-103 დადგენილებით განსაზღვრულია შესაბამისი შეზღუდვები, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება შეუძლებელია.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება და მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება ხელს შეუწყობს N64-103 დადგენილებით მოცემული მიზნების განხორციელებას.

ამ მიზნით, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2024 წლის 12 მარტის წერილით, დაინტერესებული პირისთვის შეთავაზებულ იქნა ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაზეც აღნიშნულმა პირმა, 2024 წლის 8 აპრილის წერილობითი კორესპონდენციით, თანხმობა განაცხადა.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციაზე, რომლის თანახმადაც, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, თბილისის ზღვაზე (დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული) მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა და აქვე დასძინა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 მარტის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, 2024 წლის 4 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 127 800 ლარი, ხოლო დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, ამავე ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, 2024 წლის 4 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა, 96 000 ლარი.

მომხსენებლის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება 31 800 ლარით აღემატება დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, დაინტერესებულმა პირმა, 2024 წლის 8 აპრილის წერილით, თანხმობა



განაცხადა აღნიშნული სხვაობის - საპრივატიზებო საფასურის 31 800 ლარის გადახდაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, განსაზღვრულ ვადაში.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია წარდგენილი საექსპერტო შეფასებები და საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრა მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოსმინეს:

23. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის I შესახვევი N8-ში არსებული 28.28 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე სოფიო გვიანიძისთვის გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევიტ გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2012 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში სოფიო გვიანიძე და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებული არ არიან.
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, სოფიო გვიანიძესა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

შეჯამების სახით, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ



მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N3-ში მდებარე, ბინა N4-ში არსებული 70.59 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე ზაურ მიქელაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევიტ გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 1990 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მთაწმინდის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში ზაურ მიქელაძე და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებული არ არიან.
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზაურ მიქელაძის და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.


მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეხუთე



საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 61.63 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე ციციხო ბიგანოვისა და ვალერიანი ცოფურიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- ციციხო ბიგანოვს გადაეცემა 43.96 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, ხოლო ვალერიანი ცოფურიშვილს 17.67 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები 2012 წლიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.


გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 163.14 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მალხაზი საჯაიასთვის, არჩილ ბატიაშვილისთვის, დალი ბლიაძისა და შალვა ხარებავასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- მალხაზ საჯაიას გადაეცემა 37.06 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, არჩილ ბატიაშვილს 59.02 კვ.მ, დალი ბლიაძეს 31.21 კვ.მ, ხოლო შალვა ხარებავას 35.85 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.



როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები 2012 წლიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, ზემოაღნიშნული პირები დევნილად რეგისტრირებული არ არიან;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირები ირიცხებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქევს:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N3-ში, კორპუს N1-ში, მე-9 სართულზე არსებული 65.734 კვ.მ ფართობის ბინა N22-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ვოლენა ვახანიასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:



- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 50 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე ოჯახთან ერთად; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- დაინტერესებული პირი, პრივატიზების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, უარს აცხადებს ობიექტის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სხდომის 1973 წლის 4 ივლისის N157 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული N024880 ორდერთა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციიდან გამომდინარე უფლებებზე/მოთხოვნებზე მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების ან/და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიმართ.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით და აქვე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად განისაზღვრა ქონების შემძენის მიერ, არსებულ უძრავ ქონებაზე შესაძლო ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისთვის ხელის არშეშლის ვალდებულება.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

28. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის II შესახვევი, №17-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 168.61 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად ავთანდილ ონიანისთვის და ლევან ბახტურიძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

- ავთანდილ ონიანს გადაეცემა 67.85 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, ხოლო ლევან ბახტურიძეს 100.76 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს



ნამალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, ავთანდილ ონიანი 12 წლის განმავლობაში, ხოლო ლევან ბახტურიძე 14 წლის განმავლობაში ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნამალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში მდებარე, შენობა N1-ში არსებული 38.91 კვ.მ უძრავი ქონების და ამავე მისამართზე მდებარე, შენობა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 46.52 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლენა ჭუნაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 1984 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ვაკის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში ლენა ჭუნაშვილი და მისი ოჯახის წევრი დევნილად რეგისტრირებული არ არიან.



- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ლენა ჭუნაშვილისა და მისი ოჯახის წევრის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მეორე პუნქტის ტექნიკურად გამართვის და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

30. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №67-ში, პირველ სართულზე მდებარე 96.63 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად ნუგზარ თათარაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე 2004 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ისნის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში ნუგზარ თათარაშვილი დევნილად რეგისტრირებული არ არის;
- აღსანიშნავია, რომ დაინტერესებული პირი არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი ქ. N19-ის მიმდებარედ/ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N15-21-ის მიმდებარედ 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ბესიკ მემანიშვილისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.


როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა და ითხოვა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N19-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარის გადაცემა მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე აზომვის შედეგად, 8 კვ.მ-ის ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 11 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციაზე და აღნიშნა, რომ ხსენებული უწყება არ არის მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა: 1584 (ათას ხუთას ოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1584 (ათას ხუთას ოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით;
- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლით.



აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფის მოწყობის მიზნით, შპს „ვინეროსთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „ვინეროს“ წარმომადგენელმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმად, მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.


მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 2025 წლის 1 ნოემბრამდე.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.



გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის N128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1.5 კვმ ფართობის ორი მიწის ნაკვეთის (საერთო ფართობი: 3 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესთვის“ იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „კაფე საფორეს“ დირექტორმა და ითხოვა ზემოაღნიშნული ორი მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით.

მომხსენებლისვე მითითებით, დაინტერესებულმა პირმა სააგენტოში წარადგინა ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კომპანია ქირავნობის უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას 2026 წლის 30 მარტამდე.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული ორი მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 10 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით.


მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2026 წლის 30 მარტამდე, ნაცვლად მოთხოვნილი 5 წლის ვადისა;
- საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



34. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჰანი ჰაივისთვის“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მიმართა შპს „ჰანი ჰაივის“ დირექტორმა და ითხოვა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, 4 წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 28 800 (ოცდარვა ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 2029 წლის 26 იანვრამდე;
- საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 28 800 (ოცდარვა ათას რვაასი) ლარი.

აზრი გამოთქვას:


ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში,



გორგასლის ქუჩა N115-ის მიმდებარედ არსებული 184 კვ.მ მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, 2023 წლის 8 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა წერილით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა ტაძრის მშენებლობის მიზნით.

მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და შპს „ჰერმესის“ პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ისინი არ არიან წინააღმდეგი, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცეს სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით. ამასთანავე, აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია განისაზღვროს იმგვარად, რომ ტერიტორიაზე შენარჩუნდეს სასაფლაოსთან მისასვლელი ფაქტობრივი გზა.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.
- სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს ეკლესიის მშენებლობა.

აზრი გამოთქვას:


ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

36. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის



სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში სამრევლო სკოლის მშენებლობის მიზნით.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ და სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნიეს მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა (გადაცემა) აღნიშნული მიზნობრივობით, მიწის ნაკვეთის შესაბამისი კონფიგურაციის განსაზღვრით. კერძოდ, არსებული გზისთვის 8,5 მეტრი სიგანის, მათ შორის, საფეხმავლო სივრცის გათვალისწინებით.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:


- უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.
- სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს სამრევლო სკოლის მშენებლობა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „აბგრეიდ ქონსორაქშენს“ შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი:




01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, 52 500 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, შპს „აბგრიდ ქონსტრაქშენის“ უფლებამონაცვლე, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 ნოემბრის N 22.1748.1894 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N647 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „აბგრიდ ქონსტრაქშენისთვის“ (დღეის მდგომარეობით, მის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს - შპს „ბლოქსი თავდადებულზე“) ზემოთ მითითებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება და 2023 წლის 11 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4. პუნქტის თანახმად, კომპანიას სრული გადასაცემი ფართის შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უნდა უზრუნველყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით, თუმცა არქიტექტურული პროექტების შეთანხმებაზე თანხმობა და მშენებლობის ნებართვები გაცემულ იქნა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის და 7 დეკემბრის ბრძანებებით. შესაბამისად, 2023 წლის 12 ოქტომბრიდან 2023 წლის 20 ოქტომბრამდე (ს/კ: N01.10.06.001.293 მიწის ნაკვეთზე სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივად აღებამდე) გასულია 8 (რვა) დღე, რისთვისაც ხელშეკრულების 6.1. პუნქტის მიხედვით კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 4000 (ოთხი ათას) ლარს (8 x 500)=4000). ამასთანავე, ვინაიდან, ხელშეკრულების დანართისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 9 იანვრის წერილის მიხედვით, ზოგიერთი კოოპერატივის წევრისთვის ფართის გადაცემა გათვალისწინებულია N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო ზოგიერთის - N01.10.06.001.293 საკადასტრო ერთეულზე და კომპანიის მიერ ს/კ: N01.10.06.001.292 მიწის ნაკვეთზე სამშენებლო ნებართვა ფაქტობრივი მდგომარეობით, მოპოვებულ იქნა 2023 წლის 7 დეკემბერს, შესაბამისად, 2023 წლის 12 ოქტომბრიდან 2023 წლის 6 დეკემბრამდე გასულია 56 (ორმოცდათექვსმეტი) დღე, რისთვისაც ხელშეკრულების 6.1. პუნქტიდან გამომდინარე კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა დამატებით შეადგენს 28000 (ოცდარვა ათასი) ლარს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამურად შეადგენს 32000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარს.

მომხსენებლის მითითებით, ხელშეკრულების 3.4. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების თანახმად, გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა; კერძოდ, არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ. გვერდზე (<https://tas.ge/>) განთავსებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიას ეტაპობრივად (და არა ერთიანად) უდგინდებოდა ხარვეზები, რაც საჭიროებდა შესაბამის რესურსს, როგორც დროის, ასევე, გასაწევი/განსახორციელებელი




ქმედება/ღონისძიებების კუთხით. საბოლოოდ, კომპანიის მიერ აღმოფხვრილ იქნა არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზები, თუმცა, ცალსახად აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკზე.

მარიამ კვერნაძემ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე ისაუბრა, რომლის თანახმადაც, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელდებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2023 წლის 7 დეკემბრიდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 7 თებერვლის ჩათვლით. შესაბამისად, 2024 წლის 8 თებერვლიდან 2024 წლის 20 მარტამდე (ე.წ. ცალკეულ ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ამონაწერების ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებამდე) გასულია 41 (ორმოცდაერთი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 20500 (ოცი ათას ხუთასი) ლარს. შესაბამისად, კომპანიის მიერ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტების თანახმად განსაზღვრული ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად 52500 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ხელშეკრულების 3.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ასევე გამოწვეულ იქნა ობიექტური გარემოებებით; კერძოდ, კომპანიამ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ს/კ: N01.10.06.001.292 და ს/კ: N01.10.06.001.293 მიწის ნაკვეთებზე არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე, მშენებარე ინდივიდუალურ უძრავ ნივთებზე ე.წ. „განშლის“ რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა 2023 წლის 20 დეკემბრის განცხადებებით, თუმცა, კომპანიის განმარტებით, მითითებული საქმისწარმოების ფარგლებში საჯარო რეესტრის მიერ კომპანიის მიმართ დადგენილ იქნა არაერთი ხარვეზი. ამასთანავე, კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო რეესტრმა გაახანგრძლივა განაცხადის განხილვის ვადა და მის მიერ გამოყენებულ იქნა ოცდაათი კალენდარული დღის ვადა (დადგენილი ოთხდღიანი ვადის ნაცვლად). საბოლოოდ, საჯარო რეესტრის მიერ ს/კ: N01.10.06.001.292 უძრავ ქონებაზე განცხადების განხილვა დასრულდა და ე.წ. განშლის რეგისტრაციის ამონაწერი მომზადდა 2024 წლის 22 იანვარს; ხოლო, ს/კ: N01.10.06.001.293 უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის 2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ასევე, გაახანგრძლივებულ იქნა განაცხადის განხილვის ვადა და გამოყენებულ იქნა ოცდაათი კალენდარული დღის ვადა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კი ე.წ. განშლის რეგისტრაციის ამონაწერი მომზადდა 2024 წლის 31 იანვარს. ხოლო რაც შეეხება, ე.წ. კოოპერატივ(ებ)ის უფლებამონაცვლე ამხანაგობის წევრთა (ცალკეულ ფიზიკურ პირთა) სამომავლო საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერების გაცემას, აღნიშნულის თაობაზე, საჯარო რეესტრისადმი მიმართულ იქნა ინდივიდუალურად (საჯარო რეესტრის პრაქტიკისა და მოთხოვნის გათვალისწინებით), შესაბამისად, კვლავ დადგინდა არაერთი ხარვეზი და ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ შესაბამის პირებზე, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერები საბოლოოდ მომზადდა 2024 წლის 20 მარტს.

მომხსენებლის მითითებით, კომპანიამ, 2024 წლის 2 თებერვლის, 22 მარტის და 19 აპრილის განცხადებებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი ვალდებულებების შესრულების დადასტურების თხოვნით მიმართა.



მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულების 3.1. და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ გათავისუფლების საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

38. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის №233 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცა თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მ/წლის პირველი მაისის N24.762.847 განკარგულებით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული 19 (ცხრამეტი) პირისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების საკითხზე.

მომხსენებლისვე მითითებით, ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი შეთანხმებითა და პირთა სიის ამსახველი დანართით განისაზღვრა თითოეული პირის მიერ გადასახდელი საპრივატიზებო თანხის საფასური და მათი გადახდის ვადები, კერძოდ:

- დანართის N1-N13 პირის ჩათვლით განისაზღვრა ზუსტად იმ ფართობის ბინების გადაცემა, რაც უნდა მიეღოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებული ინფორმაციის მიხედვით (არაუმეტეს 1 კვ.მ-ით მეტი), შესაბამისად, საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა - 1 (ერთი) ლარი, ხოლო, გადახდის ვადა, შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში;
- N14-დან- N19 პირის ჩათვლით განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებულ ფართობზე მეტი ფართის გადაცემა, შესაბამისად, მათ მიმართ განისაზღვრა საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება, ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების ოდენობით, არაუგვიანეს, შეთანხმების გაფორმებიდან - 3 (სამი) თვის ვადაში, უნაადლო ანგარიშსწორების გზით.



მარიამ კვერნაძემ აქვე დასძინა, რომ ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, მხედველობაში მიღებულ იქნა 2024 წლის 4 აპრილის სამხარაულოს ბიუროს დასკვნა და ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაში მდებარე 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 3 228 ლარით.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოთ მითითებული შეთანხმების ხელმოწერამდე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთვის ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კომპანიის მიერ ცალმხრივად დაკორექტირდა საჯარო რეესტრში წარდგენილი ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის პროექტი ე.წ. „განშლა“, რის საფუძველზეც ზემოაღნიშნული განკარგულებებით გათვალისწინებულ რამდენიმე ბინას შეეცვლა ფართობი, 0.5 - 0.8 კვ.მ-ის ფარგლებში, რაც აისახა საპრივატიზებო საფასურის ცვლილებაზეც. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭირო გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანა და განკარგულების დანართი №1-ისა და დანართი №2-ის ახლებური რედაქციით ჩამოყალიბება.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობის მიერ, მ/წლის 9 ივლისის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეთანხმების მიზნით წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.762.847 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, ხოლო, საკრებულოს მიერ საკითხის შეთანხმების შემთხვევაში განისაზღვრება შემდეგი:

- ქალაქ თბილისის თბილისის მთავრობას მიეცემა თანხმობა ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრულ საკითხებზე, აღნიშნული განკარგულების დანართად განსაზღვრული პროექტების შესაბამისად, შემდეგი სახით:
- დანართი N2-ის (შეთანხმება) მე-2 პუნქტის 2.4. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით:

„კოოპერატივის წევრების მიერ შესაბამისი საპრივატიზებო საფასური გადახდილ უნდა იქნას ამავე დანართში მითითებული N1-11 პირის მიერ - შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში, ხოლო N12-19 პირის მიერ - არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით“.


- ასევე, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდება დანართი N1, მასში მითითებული პირების მიერ გადასახდელი თანხების ნაწილში (იზრდება ოდენობები, გაზრდილი ფართების საბაზრო ღირებულებების შესაბამისად), აგრეთვე, მითითებულ დანართში შეცვლილია გადასაცემი ფართების ოდენობები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განახლებული ამონაწერების შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძველებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მ/წლის 9 ივლისის 24.1183.1335 განკარგულების მითითების, ასევე პირველი პუნქტის ახლებური რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული



რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნევა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:


39. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2023 წლის 15 დეკემბრიდან 2024 წლის 22 იანვრის ჩათვლით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობდა 3 (სამი) პრეტენდენტი, რომელთაგან გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯია“, რომლის შეთავაზებული საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის/კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობებისთვის გადასაცემი - 6000 კვ.მ ოდენობის ფართის ოდენობით - (თეთრი კარკასის მდგომარეობით), უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით.

მომხსენებლისვე მითითებით, 2024 წლის 19 თებერვალს შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯიას“ მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარგენილ იქნა კანონით დადგენილი წესით შედგენილი და ნოტარიულად დამოწმებული (გაფორმებული) შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯიამ“ განაცხადა თანხმობა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებები და ვალდებულებები სრულად გადასცემოდა შპს „ახალი ვაზისუბანს“, ხოლო, თავის მხრივ, შპს „ახალი ვაზისუბანი“ აცხადებდა თანხმობას, რომ სრულად შეასრულებდა შპს „ჯივიაი მოტორს ჯორჯიას“ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

მარიამ კვერნაძე კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მოცემულ პროექტში, პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, ხოლო მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ამოიწურა სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, გადასაცემი ფართის სრულად ათვისების მიზნით სააგენტოს მიერ პროექტში გათვალისწინებულ იქნენ კოოპერატივის ის წევრები, რომლებსაც სიის ფორმირების ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად. ჯამურად, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 46 (ორმოცდაექვსი) ოჯახის/წევრის დაკმაყოფილებას.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული მიზეზით, მოცემულ ეტაპზე ვერ განხორციელდა გადასაცემი ფართის (6000 კვმ-ის) სრულად კოოპერატივის წევრებზე გადანაწილება, რის გამოც, კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს - 3397.74 კვ.მ-ს, ხოლო 2602.26 კვ.მ-ის ფართის მიმღებ პირად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.



მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხისა და განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად, ხელშეკრულების პროექტის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვს:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის N24.1184.1334 განკარგულების მითითების, ასევე დანართი N1-სა და ხელშეკრულების პროექტში სტილისტური და რედაქციული ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.


გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის №24.1068.1209 განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანისა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად, სარგებლობის საფასურის გაზრდის უფლებამოსილების მინიჭების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოხსენებული პროექტის მიღება განაპირობა ბოლო წლების განმავლობაში შეცვლილმა ეკონომიკურმა პირობებმა, ასევე, ეროვნული ვალუტის ინფლაციამ და მიწის საბაზრო ფასის გაზრდამ. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონმდებლობა ასეთი პირობების არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს სარგებლობის საფასურის ოდენობის გაზრდას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის N 24.1068.1209 განკარგულებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვისა და სარგებლობის ახალი საფასურის დადგენის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება იმ სარგებლობის ხელშეკრულებებთან (დაახლოებით 66 ხელშეკრულება) მიმართებით, რომლებიც გაფორმებულია 2012 წლამდე და



ხელშეკრულებით დარჩენილი სარგებლობის ვადა არანაკლებ სამი წელია ზემოაღნიშნული განკარგულების გამოცემის დღიდან.

მომხსენებლისვე მითითებით, სააგენტო მიმართავს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სარგებლობის ახალი საფასურის დადგენის მიზნით, რის შემდეგაც მოსარგებლეს გაეგზავნება შეთავაზება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის/სარგებლობის პირობებში ცვლილების გაუფორმებლობის შემთხვევაში, სააგენტო იმსჯელებს სარგებლობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებები არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებულ იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ფარგლებშიც:

- სარგებლობის უფლების გადაცემის მიზანს წარმოადგენდა კიბის ან/და პანდუსის მოწყობა;
- სარგებლობის საფასური განსაზღვრულია სიმბოლური ან შემოსავლის პროცენტული ოდენობით.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და განკარგულების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „შპს „ათორის“ (ს/ნ 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარად, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tbilisi.gov.ge) 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 09 თებერვლის ჩათვლით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის საგანს წარმოადგენდა ინტერესთა



გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში და მის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 16 871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და პარკის მშენებლობის (სულ მცირე 3500 კვ.მ. ფართობის ტერიტორიაზე) განხორციელება და უპირატესად შპს „ათორის“ მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული შესაბამისი პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა.


მომხსენებლისვე მითითებით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმს წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებული ქონების მიმღები პირებისათვის საკუთრებაში გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ჯამური ფართობის ყველაზე დიდი ოდენობის შეთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს 8000 (რვა ათასი) კვ.მ.-ზე ნაკლები.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნ.გ.ბ.“, რომლის მიერ შეთავაზებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ჯამური ფართობი (აივნის ფართების გათვალისწინების გარეშე) შეადგენს 8050 (რვა ათას ორმოცდაათი) კვ.მ-ს. აღნიშნული კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის მიერ შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებას და ინტერესთა გამოხატვის პირობებითა და ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებზე და აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში გადასაცემი ფართების გადაცემა უნდა განხორციელდეს ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით. გადასაცემი ფართები თავდაპირველად დარეგისტრირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ხოლო შემდგომ, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია აღნიშნული ფართები გადასცეს სხვა პირებს - უპირატესად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის მიერ განსაზღვრულ, შპს „ათორის“ მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ შესაბამის პირებს.

მარიამ კვერნაძემ პროექტის განხორციელების ვადებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გადასაცემი ფართების არანაკლებ 50%-ის შესაბამისი შენობების (პირველი ლოტი) მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება გათვალისწინებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 44 თვის ვადაში, ხოლო დარჩენილი გადასაცემი ფართების შესაბამისი შენობების (მეორე ლოტი) მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება კი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 თვის ვადაში. აგრეთვე, კომპანიის მიერ პარკის მშენებლობის დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 63 თვის ვადაში, რის შემდგომაც, 2 თვის ვადაში, უნდა უზრუნველყოს პარკის შესაბამისი მიწის ნაკვეთის ცალკე საკადასტრო ერთეულად დარეგისტრირება და მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემა.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის განსაზღვრული საპრივატიზებო



პირობებით საკუთრებაში გადაცემა და მასთან დასაბუთებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულ უძრავი ქონების მასხაიათებლებში მითითებულ იქნას გეოლოგიური საფრთხეების საშუალო დონე, აგრეთვე, გათვალისწინებულ/მოპოვებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები. აგრეთვე, ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულებისა და ხელშეკრულების პროექტების მიმართ არსებულ, სხვა სამართლებრივი სახის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

42. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი N6-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას, ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ავარიული კორპუსის ჩანაცვლების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შერჩეული მშენებლობის განმახორციელებელი პირისათვის - შპს „ბკ ქონსტრაქშენისთვის“.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შესყიდვის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება არსებული 4 (ოთხი) სართულიანი ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟი და მის ნაცვლად აშენდება ახალი 10 (ათი) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, საცხოვრებელი კორპუსის I სართულზე მოეწყობა 451.00 კვ.მ ფართობის კომერციული ფართი, ხოლო II-X სართულების ჩათვლით 79 ერთეული საცხოვრებელი ბინა, ჯამური ფართობით 4768.5 კვ.მ.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, 36 ერთეული საცხოვრებელი ბინა (ჯამური კვადრატულობით 2233.6 კვ.მ) გარემონტებული მდგომარეობით და 1 კომერციული ფართი (33.3 კვ.მ) თეთრი კარკასის მდგომარეობით გადაეცემათ მესაკუთრეებს, ხოლო 43 ერთეული საცხოვრებელი ბინა (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, ჯამური კვადრატულობით: 2534.9 კვ.მ) და 4 ერთეული (ჯამური კვადრატულობით: 417.7 კვ.მ) კომერციული ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული) დარეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და ანგარიშსწორებისას გათვალისწინებული იქნება შემდგომი მიმწოდებლისთვის სამშენებლო, მათ შორის



სარემონტო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშწორების მიზნით, დღგ-ს გარეშე, ფართებისა და მათი ღირებულების შეთანხმებული პროპორციის შესაბამისად.

მომხსენებლისვე მითითებით, ანგარიშწორება განხორციელდება როგორც უნაღდო ანგარიშწორების გზით, თანხის ჩარიცხვით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო რეკვიზიტებზე, ასევე ნატურით. უძრავი ქონების ნატურით გადაცემის შემთხვევაში, ამ ქონების ფასი 1 კვ.მ-ზე განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით, რომელიც შეფასებულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ: თითოეული ქონების ჯამური ფასი დაანგარიშდება 1 კვ.მ საბაზრო ღირებულების დღგ-ს გარეშე, ჯამურ კვადრატულობაზე გადამრავლებით ეროვნულ ვალუტაში. 1 კვ.მ მშენებარე კომერციული ფართის საბაზრო ღირებულება თეთრი კარკასის მდგომარეობით განისაზღვრება 2 116 (ორი ათას ას თექვსმეტი) ლარით, ხოლო 1 კვ.მ მშენებარე საცხოვრებელი ბინის (თეთრი კარკასის მდგომარეობა) საბაზრო ღირებულება განისაზღვროს 2 020 (ორი ათას ოცი) ლარით.

მომხსენებელი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ 1 კვ.მ-ზე საპრივატიზებო საფასურად დადგენილ იქნა ზემოთ მითითებული ავარიული სახლის ჩანაცვლებისას სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადების დროისათვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად განსაზღვრული საბაზრო ღირებულება და აღნიშნული ჩაითვლება გადახდილად მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:

ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე

სხდომის მდივანი

ნ. განელიძე

ნინო დანელიძე